



## საიას მოსაზრებები პარლამენტს „სოციალური მენარმეობის შესახებ“ კანონპროექტზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს **□□□□□□□□** მენარმეობის შესახებ **□** კანონპროექტზე მოსაზრებები წარუდგინა **[1]** საია მიესალმება პარლამენტის წევრების ინიციატივას სოციალური მენარმეობის საკითხების ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების თაობაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალური საწარმოების სამართლებრივი და ფინანსური გარანტიების შექმნა, ქვეყანაში არსებულ სოციალური საწარმოებს დახმარება და სოციალური მიზნებით ახალი საწარმოების შექმნის წახალისება. **საიას მიაჩნია, რომ ინიცირებული კანონპროექტი საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რათა საკანონმდებლო მონესრიგება შეესაბამებოდეს სოციალური მენარმეობის სფეროში არსებულ საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებს.**

საიას მოსაზრებები ეხება კანონპროექტში მოცემულ შემდეგ საკითხებს: სოციალური მენარმეობის არსი და საქმიანობის სფეროების შეზღუდვა, სოციალური საწარმოს სტატუსის მიღების წესი, სოციალური მენარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობა, სოციალური

საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა და მარეგულირებელი ორგანოს შექმნის საჭიროება.

**1. სოციალური მენარმეობის არსი და საქმიანობის სფეროების შეზღუდვა** - კანონპროექტის მე-3 მუხლი სოციალური საწარმოს შექმნას უშვებს მხოლოდ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის და გარემოს დაცვის სფეროებში. მიგვაჩნია, რომ სოციალური საწარმოების შექმნისათვის კანონმდებლობით სფეროების შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, რადგან დაინტერესებულ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, სოციალური მიზნების არსებობის მიუხედავად, სხვა სფეროებში დააფუძნონ სოციალური საწარმო და ისარგებლონ შესაბამისი გარანტიებით. სფეროების შეზღუდვა ამცირებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვას სოციალური მენარმეობის მიმართულებით. მსოფლიო მასშტაბით, არაერთი სოციალური საწარმო არსებობს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში. გარდა ამისა, ამ შეზღუდვით უკვე არსებულ, სხვა სფეროში მოღვაწე არაკომერციულ იურიდიულ პირებს ერთმევათ უფლება, გარდაისახონ სოციალურ საწარმოებად, რაც მათ მდგომარეობას არსებითად გააუარესებს.<sup>[2]</sup> ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს  ჯგუფების  დეფინიციას და მნიშვნელოვანია, რომ განიმართოს სოციალური საწარმოს მიზნებისათვის ვინ ჩაითვლება მონყვლად ჯგუფებად.

**2. სოციალური საწარმოს სტატუსი და მიღების წესი** - კანონპროექტის მე-4 მუხლი ადგენს იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო, თუმცა მოთხოვნების უმეტესობა ბუნდოვანია და საჭიროებს დამატებით განმარტებას. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თუ რა იგულისხმება სახელმწიფოსადმი  და არაპირდაპირ დაკავშირებასა და დაქვემდებარებაში,  რათა თავიდან ავირიდოთ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმების 5 წლიან ვადას, რისი დადგენაც არაგონივრულია იმის გათვალისწინებით, რომ საწარმომ შესაძლებელია 5 წლის გასვლის შემდეგ ვერ დააკმაყოფილოს სოციალური საწარმოსათვის დადგენილი მოთხოვნები და კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს მისთვის სოციალური სტატუსის ჩამორთმევის მექანიზმი.

კანონპროექტის მიხედვით, სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში,  საწარმოს აქტივები არ იქნება საკმარისი, მის პარტნიორებს, მეპაიეებსა

და აქციონერებს წარმოეშობათ სოლიდარული ვალდებულება დააბრუნონ ის (ფულადი სახსრები და/ან ქონება), რომელიც სოციალური საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული შეღავათის გამო მიიღო საწარმომ, პარტნიორმა, მეპაიემ ან აქციონერმა. □ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება □ შესახებ □ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად, □ პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.“

კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, □ რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულ სფეროებში... □ □ აქვს მოითხოვოს სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ამ მუხლით საწარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები და შეზღუდვები. □ მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტმა არ გაითვალისწინოს მსგავსი ხასიათის გამონაკლისები და სოციალური საწარმოს სტატუსი მიიღონ მხოლოდ იმ საწარმოებმა, რომელიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“

**3. სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობა** - კანონპროექტის მე-8 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის ღონისძიებებს, თუმცა მათი შინაარსი დეკლარაციული ხასიათისაა და არ უთითებს შემოთავაზებული ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმებს. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტმა ნათლად განსაზღვროს თუ როგორ უნდა ამოქმედდეს კანონპროექტში მითითებული ღონისძიებები. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ნათლად და დეტალურად მოწესრიგდეს, თუ რა სტანდარტის დაცვით უნდა მიაწოდოს სახელმწიფომ პრიორიტეტი სოციალური საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქტსა და მომსახურებას, თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში.

**4. სოციალური საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა/მარეგულირებელი ორგანო** - მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი მიზნად ისახავდა სოციალური საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას, პროექტი არ შეიცავს შესაბამის დებულებებს და არ განსაზღვრავს, თუ რომელი ორგანოს მიერ და რა ფორმით ხდება აღნიშნული ფუნქციის შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტმა დეტალურად განსაზღვროს სახელმწიფოს მიერ მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, მონიტორინგის წესი და მექანიზმები, ასევე აღნიშნული ორგანოს დაფინანსების წყარო, რათა საწარმოების მიერ არ მოხდეს სოციალური სტატუსისა და შეღავათების არაკეთილსინდისიერად გამოყენება. სოციალური საწარმოების მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიკის სამინისტროს

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქვეყნეებო დენესებულების ან დამოუკიდებელი სააგენტოს მიერ.

□□□□□□□□ მენარმეობის შესახებ □ კანონპროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე გაიმართება და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკომონიკური პოლიტიკის კომიტეტია წამყვანი კომიტეტი.

---

[1] საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მერაბ ქვარაია, პაატა მხეიძე, გოგა გულორდავა, კობა ლურსმანიშვილი, ბაქარია ქუცნაშვილი, რატი იონათაშვილი, გიორგი მოსიძე, გიორგი კოპაძე, დიმიტრი მხეიძე, ცოტნე ზურაბიანი. ხელმისაწვდომია - <https://info.parliament.ge/#law-drafting/16647>

[2] მაგალითად: საქართველოში ტრანსპორტის სფეროში არსებობს სოციალური ტაქსი - <http://segeorgia.org/exmore.php?NID=179>